572
1954/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლილა

„ბუდეში, ეკრენ ქალონ,
ოდესმე, ეკენი მაინდა,
და ეს ეტყ, ქალოდეთ, სწეულიან
ხალისიანი ბავშვნი!“

№ 10

საბავშვოს ეროვ ცენტრალური კომიტეტის
ჟურნალი მასიურ-ფოტოგამოცემები

ოქტომბერი
1954

ნახატი ვახტანგ ჯაფარიძისა

შემოდგომა

ირაკლი აბაშიძე

მთის კალთები აჭრელდა
წითელ-ყვითელ ფერებით,
ტყრის კალმით ნახატებს
დაემგვანენ სერები.
დაიკრიფა ვენახი,
დაიკრიფა ბაღები;
ბარში ველი გახუნდა,
მთაში—იალადები.
ბაღში ტოტებს ნასიცხარს
გრილი ქარი აქანებს;
ველად გააქვთ გუგუნი
კოლექტივის მანქანებს.
კოლექტივის მანქანების
გადუჭიმავთ ლარები—
შემოდგომის ხნულებით
ღვიძის ნაპურალები.
მინდვრის ხვავი დაკროვდა,—
ჩვენი სახლი მზად არი;
მიდის მწვანე ზაფხული,
მოდის თეთრი ზამთარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსთავის ფოლადი

ს. ხარაზიშვილი

ნახატები ბ. ჩირინაშვილისა



6620

დიდი ხანი არ არის, რაც ტრიალ მინდორზე ახალი სოციალისტური ქალაქი რუსთავი გაშენდა, ეს მეტალურგების ქალაქია.

მეტალურგები ეწოდებათ იმათ, ვინც ლითონს, ფოლადს, რკინასა და სხვა შენადნობებს იღებს, შემდეგ კი მას მთელი ჩვენი ქვეყნის ქარხნებს, ფაბრიკებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს და კოლმეურნეობებს აწვდის. როგორც ადამიანი უპურობდ ვერ გაძლებს, — ისე ქარხნები უფოლადოდ, ურკინოდ ვერ იმუშავებენ.

ლითონისაგან აკეთებენ პაწაწკინტელა ნემსს, კალამს და ვეებერთელა ორთქლმავალსაც, ფანქრის სათლელსაც და ტრაქტორსაც.

დიდი, ძალიან დიდია რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. მას აგურის მაღალი კედელი აქვს შემოვლებული. მარტო ამ კედლის სიგრძე თითქმის შვიდი კილომეტრია. შესვლისთანავე ადამიანს თვალში ეცემა მაღალი და გრძელი კორპუსები, რომელსაც გარმონივით დაკეცილი ნაცრისფერი კედლები აქვთ, ზემოთ კი, სახურავზე, შუშაბანდებიანი სანათებია დატანებული. „მეტალურგიული ქარხნის გაცნობა უმჯობესია ფოლადსადნობი საამქროდან ანუ მარტენის საამქროდან დაიწყოთო“, — მირჩიეს და მეც იქით გავეშურე.

აი, ის მილები, წყლიან შორიდან რომ ჩანდა, უუ, უუ! რა მაღალია! ეს მარტენის ღუმელების მილებია, იქიდან დინჯად ამოდის ვარდისფერი კვამლი და ცაში უჩინარდება.

საკაზმე ეზოში ვარ,— ასე ეწოდება უზარმაზარ

მარქსის სახ. სახ. ბიბლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელ ორმოს, რომელიც ლითონის ნამტვრევებით, თუნუქის ნარჩენებით და ძველი მანქანის ნაწილებით არის სავსე; ეზოში ჩამოდგა გრძელი მატარებელი. ზემოდან უზარმაზარი ნალითვით მრგვალი მაგნიტის ამწე დაეშვა, მიუახლოვდა ნამტვრევებს და შორიდანვე მოიტაცა ისინი; თვალის დახამხამებაზე მაგნიტმა რამდენიმე ფუთი ჯართი მიიზიდა, წამოიღო და მატარებლის ღია ბაქანზე მდგარ აბაზანისებურ ჭურჭელში ჩაყარა. ასე ზიდავდა თუჯსა და ჯართს, ვიდრე მთელი შემადგენლობა არ დატვირთა. უცებ წივილ-კივილით მოეარდა პატარა ორთქლმავალი, მოიტაცა გრძელი მატარებელი და სადღაც გააქანა.



გზა მოკლედ გადავქერი და მაღალთაღიან ვრცელ შენობაში შევედი, სწორედ ეს იყო მარტენის საამქრო. ზევით ხიდურა ამწე ფოლადის კასრს მიაქანებდა, ჭერი ლითონის ფიცრებით იყო დაქსელილი.

საამქროში გაბმული გუგუნი ისმოდა. გავარვარებულ ფოლადსადნობ ღუმელებიდან ავარდნილი ალი ცეცხლის ენებივით იკლაკნებოდა.

პირველად შესვლისას ასე მეგონა, თითქოს ფეხქვეშ მიწა ირყეოდა, ყველაფერი ზანზარებდა, უცებ აქაც წივილით შემოიჭრა მატარებელი. შევკრთი, პირველ ღუმელთან შევჩერდი, მის წინ ბრეზენტის ტანსაცმლიანი, სახეგარუჯული კაცები ფუსფუსებდნენ, ბრეზენტისავე ხელთათმანები ეცვათ, შუბლზე მუქი ფერის სათვალეები ეკეთათ; ერთი მათგანი, როგორც ეტყობოდა, უფროსი იყო, სათვალეებს ჩამოიწევდა, რომ მზესავით ბრიალა სინათლეს თვალი არ მოეჭრა, ღუმელის სარკმელში შეიხედავდა, მერე განკარგულებებს იძლეოდა, ხან მუნ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯურად ხელით ანიშნებდა, რადგან ყურთასმენა არ იყო, დანარჩენები კი მის ბრძანებას ასრულებდნენ. ესენი მეფოლადეები იყვნენ. ზოგჯერ სარკმელს ასწევდნენ, საიდანაც ჩანდა, თუ შიგ როგორ ბობოქრობდა გავარვარებული ლითონის მასა და ნიჩბებით ფხვნილის მსგავს რაღაცას ყრიდნენ.

მეზობელ ღუმელში ახლა იწყება ფოლადის დნობის მთელი პროცესი: წელანდელი მატარებელი ამ ღუმელთან გაჩერებულა, მის უკან დგას დიდი უცნაური მანქანა, რომელიც სპილოსავით ხან შეიწევს ხორთუმს, ხან გამოსწევს, მისწვდება თუჯითა და ჯართით სავსე აბაზანისებურ ჭურჭელს და ალმოდებულ ღუმელში შეუსახებს, წამოაპირქვავებს და უკანვე გამოიტანს ცარიელ ჭურჭელს. ეს არის ჩამტვირთავი მანქანა. ღუმელის უზარმაზარმა სტომაქმა სწრაფად შთანთქა მატარებლის მიერ მოტანილი მთელი ჯართი და თუჯი.

გარდა თუჯისა და ჯართისა, ღუმელს სხვა საკაზმიც დაუმატეს. ამ ღუმელს იქით უკვე შესდგომიან ფოლადის გამოშვების სამზადისს: ამწემ ვეებერთ.ელა ციცხვი ჰაერში მსუბუქად შეათამაშა, წამოიღო და ქვევით ღუმელის ძირში დაასკუპა. ციცხვი მთლად ბზრიალას ჰგავს, ან კიდევ დიდ ჭიქას.

მაგრამ ეს ისეთი ჭიქაა, რომელშიც 130 ტონა ფოლადი ჩადის!

ღუმელის მეორე მხარეს მეარხეები ფუსფუსებენ, გამოსაშვებ ღარს ასუფთავებენ. იქაც შემოიკრა მატარებელი, მასზე ჯართი კი აღარ ეწყო, არამედ ცარიელი ჭურჭლები ანუ ბოყვები იდგა ფოლადის ჩამოსასხმელად.

ჭერი ზანზარებს, იატაკი ირყევა: ისევ დააქროლებენ ტვირთს ამწეები, ისევ ხვნეშით მიმოდიან მატარებლები, გრუხუნით დაბობღავენ ჩამტვირთავი მანქანები, ბობოქრობენ ღუმელები; პირველად მოსულ ადამიანს შეაკრთობს ასეთი ორომტრიალი, მაგრამ თუ დაუკვირდება, მალე დარწმუნდება, რომ აქ ძალიან დიდი წესრიგია, ადამიანისა და მანქანის ყოველი მოძრაობა წინასწარ მოფიქრებული და გამოზომილია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...უცებ ირგვლივ ყველაფერი განათდა, თითქოს მზემ გამოაჭყიტა ღრუბლებიდანო. დაიწყო ფოლადის გაძოშვება: გამდნარი ოქროსფერი ლითონის ღვარი მოდიოდა ღარზე, ციცხვში ეშვებოდა, ცხელი ფოლადის ნაპერწკლები ირგვლივ ციცინათელებივით იფანტებოდა.

გავარვარებული ლითონის სიმხურვალით სახე ამელანძა, აღტაცებული შევცქეროდი დიდებულ სანახაობას; ასეთ დროს ის მეფოლადეებიც, რომლებსაც მრავალჯერ უნახავთ ფოლადის გამოშვება, ისინიც კი წუთით ანებებენ თავს მუშაობას და სიამოვნებით უცქერენ ფოლადის ჩამოსხმას.

* * *

გრიგოლ იმედაძე

შრომით ნასახელები,
მედგრად თავაღებული,
შეხეთ, მოდის თექვსმეტი
და-ძმა გაღაღებული.

მოსკოვის ცა დანათის
მზის სხივებით ნაპკური,
ერთად ნახეს ნანატრი
გამოფენა ზღაპრული

აქ საქვეყნოდ გაისმის
მათი შრომის დიდება;
ერთურთს გაუზიარა
ყველამ გამოცდილება

და მოდიან მხარდამხარ
ცოდნით, მკლავით მაგარი;
რომ სულ იქცეს ბაღნარად
საბჭოეთის მთა-ბარი.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, მთავარ პავილიონთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძე

ნახატი გ. თოთიბაძისა

სიმინდის ყანა

ჩარაზმულან სიმინდები
ფურცლებმოხასხასე;
გამოუსხამთ ტაროები
მსხვილ მარცვლებით სავსე.

ნიავი ქრის და სიმინდი
შრიალებს და ღელავს,
გრძელ ფურცლებით,
როგორც ხმლებით
ფარიკაობს ყველა.

დღისით მზე და ღამით ცვარი
სიმინდს ძალას აძლევს,
გაივსებს და გაიმდიდრებს
ჩამწკრივებულ მარცვლებს.

დაღამდება და საამო
სუნს აუშვებს ყანა:
ფოჩის სუნი, ტაროს სუნი
არ გიგრძვნიათ განა?

აგვისტოში, სექტემბერში
შეიქმნება ხმელი;
მაშინ სიმინდს მოსატეხად
უნდა მივყოთ ხელი.

სიმინდს მოვტეხთ, დავახვავებთ
მსხვილ ტაროებს ბლომად;
საქონელს კი—ჩალას, ფუჩეჩს
მივცემთ გასაძღომად.

ზინა ელიზბარაშვილი

ნახატი ბ. თოთიბაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწყებული მაღლობა

ოთარს ნატვრა აუსრულდა. კვირა დღეს დედამ კოხტა კალათი მისცა ხელში და რთველში წაიყვანა.

ხალხი ბუზივით ირეოდა, ბოგო-ბიჭები ვაზებს აქეთ-იქიდან ამოსდგომოდნენ და ერთმანეთს ყურძნის კრეფაში ეჯიბრებოდნენ. მალე თავისუფალი მწკრივი დედა-შვილმა დაიკავა. აქეთ ოთარი ჰკრეფდა, იქით კი — დედა.

— უჰ, რა დიდი ჩხები აიკრება! — ამბობდა ოთარი და ხან ერთ მტევანს მივარდებოდა, ხან მეორეს. ოთარმა კალათა გააესო და ის იყო მხარზე შედგმას აპირებდა, რომ თავს წამოადგა უცნობი მამაკაცი.

— ყოჩაღ, ბიჭიკო, რა მალე გაგივსია კალათა, ასე უნდა, მაშ! — და თვითონვე უშველა ოთარს კალათის მხარზე შედგმა. ოთარი დაიბნა და ნაბიჯის გადადგმას ვეღარ ახერხებდა.

— თქვენ ისევ განაგრძეთ კრეფა! — უთხრა უცნობმა ოთარის დედას. — შენ კი, ბიჭიკო, წაიღე ეგ ყურძენი და გოდორში ჩაყარე.

ოთარი წავიდა თუ არა, უცნობმა

ბიბლიოთეკა

აპარატი მოიმარჯვა, მიმავალი ოთარი რომ გადაიღო, ახლა დედას მოუბრუნდა.

— ესეც ასე. დიდი მადლობა! — გაუღიმა უცნობმა დედას და დაბრუნებულ ოთარს თავზე ხელი გადაუსვა.

— ვინ იყო, დედა? — ჰკითხა ოთარმა.

— თბილისელი სტუმარია, შვილო, სურათები გადაგვიღო. შენ კალათის შედგმა გიშველია და მადლობა კი დაგავიწყდა.

— მერე, სურათებს ჩვენც მოგვცემს?

— მოგვცემს, უთუოდ!

რთველი მოთავდა, ბარაქიანი შემოდგომა მიიწურა.

ერთ საღამოს დედამ ოთარი კინოში წაიყვანა. მალე დარბაზი ჩაბნელდა და კინოც დაიწყო. ირგვლივ მუსიკის ტკბილი ხმა გაისმა. ეკრანზე კინოჟურნალს უჩვენებდნენ. დიქტორი ხმამაღლა ხსნიდა სურათების შინაარსს. ოთარი გატაცებით უცქერდა ჩაის კრეფას პლანტაციებში, სიმინდის ტეხვას, მოჯირითე ცხენოსნებს და ვაშლის კრეფას.

...„საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხე, სადაც ყურძნის უხვი მოსავალი მოდის“... — განაგრძობდა დიქტორი და ეკრანზეც ვრცელი, დოვლათიანი ადგილები გამოჩნდა: ჯერ ალაზნის ველი, შემდეგ ზღვასავით გადაქიმული ზვრები.

ოთარი გაფაციცებით ათვალიერებდა სურათს. ეცნო კიდეც ის ტკბილი სიმღერა, რთველში რომ მღეროდნენ პირმომცინარი მკრეფავები. აგერ, გამოჩნდა ვაზების ერთ-ერთი მწკრივი. თავდახრილი ქალი მარდად ჰკრეფდა ყურძენს და კალათში აწყობდა, იქვე, მხარზე კალათშედგმული პატარა ბიჭი მწკრივიდან გამოდიოდა.

ოთარი მოუსვენრობამ შეიპყრო. ადგილზე წრიალებდა, თვალებს არ უჯერებდა.

ნუთუ მე ვარ? — გაიფიქრა ბავშვმა, მაგრამ პასუხისათვის სად ეცალა? მხარზე კალათშედგმული ბიჭი გოდორს მიუახლოვდა და ყურძენი შიგ ჩაყარა. ახლა კი ვეღარ მოითმინა ოთარმა და ყველასათვის მოულოდნელად წამოიძახა:

— ეს ხომ მე ვარ, მე ვარ, აგერ, შენც, დედა! — და გახარებული ბავშვი ადგილიდან წამოიჭრა.

„წარჩინებული მოსწავლე ოთარი ეხმარება დედას“... — ლაპარაკობდა დიქტორი.

— ყოჩაღ, ოთარ! მართლა კარგი ბიჭი ყოფილხარ. — შეაქეს მაყურებლებმა ყურებამდე გაწითლებული ოთარი, რომელიც სიხარულისაგან დედას მიჰკვროდა.

კინოსურათის დამთავრების შემდეგ ოთარი ქუჩაში კი არ მიდიოდა, მიფრინავდა.

მას თვალწინ ედგა უცნობი ძია, რომელმაც მხარზე კალათის შედგმა უშველა და სურათიც გადაუღო. ფრთაშესხმული ოთარი ქუჩაში მიმავალ ხალხს აკვირდებოდა, იქნებ შემთხვევით შეხვედროდა იმ უცნობ ძიას, რომელმაც სურათი გადაუღო და ახლა მაინც გადაეხადა დავიწყებული მადლობა!



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნ. ჟილასონია

ნახატები ბ. როინიშვილისა

დის სიმღერა

აღუ, აღუ, ძამია,
დაგიკოცნო თითები;
გაიზრდები, ძალიან
ღონიერი იქნები.

აღუ, ჩემო ტიტინა,
გაგეზარდოს კიკები,
რომ თმებს ველარ მწიწკნიდნენ
ჩვენი ეზოს ბიკები!...

ზარმაცი

ტახტზე ჭილობს გადავშლი,
აივანზე დავრჩები.
ასკინკილას თამაშში
გამიცვდება „ბაჩები“.

ნურც ვენახში მეძახით,
არა, არ შემიძლია,
რომ გაწვიმდეს ხელახლა
დამისველდეს „ზიზია“?

მე აქედან ვუცქერი,—
ზვარში წავა გოგია,
წამომიღოს ყურძენი, —
სახლში ჭამა სჯობია!



ედიშერ ყიფიანი

ნახატი ქ. მახარაძისა

სტუმრად ბიძაშვილთან

ერთ საღამოს ზაზა თავის ბიძაშვილს მერაბს ესტუმრა. როდესაც ბავშვებმა ჩაი დალიეს და მეორე ოთახში გავიდნენ სათამაშოდ, მერაბმა თავისი „კონსტრუქტორი“ გამოიტანა; ქატარებმა ჯერ კიბე და სასწორი გააკეთეს, მერე წისქვილი ააშენეს, ბოლოს სახლიც კი დადგეს.

თამაშობა რომ მოსწყინდათ, მერაბმა თავისი ბიძაშვილი შუშაბანდში გაიყვანა. უეცრად ზაზას აღტაცებისაგან თვალები გაუფართოვდა; შუშაბანდის ერთი ნახევარი სათამაშო ველოსიპედებით იყო სავსე — ზოგი სამთვლიანი, ზოგი ორთვლიანი, ზოგი ლურჯად შეღებილი, ზოგი — წითლად. ამდენი ველოსიპედი მაღაზიაშიც არ უნახავს ზაზას. გული დასწყდა: სახლში მას მხოლოდ ერთი ველოსიპედი აქვს, ისიც ბევრი ტარებისაგან უკვე დანჯღრეული, ზოგ ადგილზე საღებავიც გადაეცალა, ზარიც აღარ წკრიალებს ძველებურად. მერაბს კი... ეჰ, რამდენი ველოსიპედი ჰქონია, მაინც რაღ უნდა ამდენი? რა ჰქნას, განა შეშურდა, მაგრამ გული დასწყდა ზაზას.

— აქ ჩემი გარაჟია! — ამაყად წარმოსთქვა მერაბმა და ხელი ველოსიპედებისაკენ გაიშვირა. მერე ერთი მათგანი გამოაგორა და ზედ შეჯდა,—ეს კი ჩემი ველოსიპედია.

— განა ყველა შენი არ არის? — ნერწყვისყლაპვით შეეკითხა ზაზა.

— ყველა? ამდენი რად მინდა? — გაეცინა მერაბს.

— მაშ?... მაშ ვისია?

— ვისი და ოთარის, ვახტანგის, გოგის, დათოსი, მზიასი და თამაზისა.— სულმოუთქმელად ჩამოთვალა მერაბმა.

— მერე... მერე შენთან რატომ დასტოვეს? — კვლავ არ სჯეროდა ზაზას.

— იმიტომ დასტოვეს, რომ ოთარი და მზია მეორე სართულზე ცხოვრობენ, ვახტანგი, გოგი და დათო — მეოთხეზე, თამაზი კი — მეხუთეზე. აბა, ყოველ დღე ხომ არ აათრევენ და ჩამოათრევენ? ამიტომ დედამ ნება მოგვცა, რომ ეზოში სეირნობის შემდეგ ყოველთვის აქ შევინახოთ ხოლმე ველოსიპედები. ახლა ხომ მიხვდი?

— მივხვდი. — უპასუხა ზაზამ და თავი ჩაღუნა; შერცხვა, გული რომ სწყდებოდა: მერაბს ამდენი ველოსიპედი რად უნდაო!

ქეთევან ჭილაძეული

ნახატი კ. მახარაძისა

„ლურჯა“

ვახტანგი ადრე მივიდა საბავშვო ბაღში.

დამლაგებელ სოფიოს იქაურობა უკვე დაეწკრიალებინა და მცენარეების ფოთლებს სველი ტილოთი მტვერს აცლიდა.

ვახტანგი მიესალმა დამლაგებელ ქალსა და მასწავლებელს, მერე სათამაშოებისაკენ გასწია. მოსამართი მანქანა გაასრიალა იატაკზე, კუბიკებით „ხიდიც ააშენა“, მაგრამ როგორც კი თვალი მოჰკრა კუთხეში თავჩაქინდრულ „ლურჯას“, მაშინვე იქით გაეშურა.

— დრრრ! — დაეხმაურა ვახტანგი „ლურჯას“ და ზურგზე გადაუსვა ხელი. — როგორ დახეთქია „ლურჯას“ ზურგი! — დანანებით ჩაილაპარაკა მან და შეეცადა აქერცნილი ნაწილები ხელის გულით მიეტკეპნა.

— წებო უნდა, ისე არ მიეკვრება!— თქვა მან ბოლოს და მასწავლებელთან მიირბინა:

— ნინო მასწავლებელო, შეიძლება ცოტა ხნით წებო მომცეთ?

მასწავლებელმა კარადიდან პატარა ბოთლით წებო გამოუღო.

ვახტანგი კვლავ „ლურჯასთან“ გაჩნდა და გულმოდგინედ უწებებდა აქერცნილ ნაწილებს.

— რას აკეთებ, ვახტანგ? — ჰკითხა ახალშემოსულმა გურამმა და შორიახლოს გაჩერდა.

— „ლურჯა“ უნდა მოვარჩინო! — მიუგო ვახტანგმა.

— არა სჯობია გემი ავაშენოთ?!

— ჯერ ეს შევაკეთოთ, თორემ ისე გაფუჭდება, რომ მერე აღარ შეკეთდება! — გაიმეორა ბიჭუნამ თავისი ჯაპისაგან ხშირად გაგონილი ნათქვამი.

— ნუღარ შეკეთდება რა! ჩვენ ხომ სკოლაში დავიწყებთ მალე სიარულს. — არხეინად ჩაილაპარაკა გურამმა.

— მერე რა! ჩვენ თუ სკოლაში წავალთ, სამაგიეროდ გივი და ნუგზარი დაიწყებენ აქ სიარულს. იმათ ხომ უყვართ „ლურჯას“ გაჭენება! — უთხრა ვახტანგმა.

— აი, აქაც აქერცნილი აქვს! — მიუთითა გურამმა „ლურჯას“ ჩლიქებზე.

— რაღას უყურებ? მიაწებე! — დაიხმარა ვახტანგმა გურამი.

გურამმა მაშინვე ხელები დაიმკლავა და „ლურჯას“ ფეხებთან ჩაცუცქდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თვითმფრინავი

ი. ჯუკიმი

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

აეროდრომის ახლოს,
რომ გასცდები დაბლობს,
ჩემი გულკეთილი,
ტკბილი ბებო სახლობს.
ყველა იცნობს ბებოს,
გაგიგიათ ალბათ,
ახლა მოგიყვებით
უჩვეულო ამბავს:
ვარია ჰყავს ბებოს
ძლიერ მხიარული,
ლამაზი აქვს ფრთები,
ჭკუა არა აქვს სრული!
ვარიკელა ერთხელ
გაეპარა ბების:
„— შინ დაბრუნდი ჩქარა,
შემომელახები“
ვარიკელა ამბობს:
„— მოსვლას მოვესწრები!“
სწორედ ბების სახლთან
აეროდრომი გახლდათ.
საიდანლაც უცებ
ვარიკა იქ გაჩნდა.
ისკუპა და უცბად
თვითმფრინავში ჩახტა.
დაედევნა ბებო,
შემოსძახა: — აქში!
ბებიც მოხრილი მხრებით
შეძვრა თვითმფრინავში.
დატრიალდა ბები,
აღარ იცის, რა ჰქნას?..
— ვარიკელა, სად ხარ?
სად ეშმაკში გაჰქრა!

დაფაცურდა ბები,
უცბად მოჰკრა თვალი,
ვარიკელა უკვე
კაბინაში არის:
დახტის მოტორებთან,
ბები დასდევს ხვნეშით,
უნდა ხელი სტაცოს,
ბოლო შერჩა ხელში.
დახტის ვარიკელა
მოტორებთან მარჯვედ,
უცბად დააფრინდა
თვითმფრინავის საჭეს.
ბების უნდა მისწვდეს,
ახლოს არის, ხედავს,
უცბათ ფეხი მოხვდა
თვითმფრინავის პედალს:
აგუგუნდა მძლავრად,
ახმაურდა ძრავი
და ჩიტივით ცაში
მიჰქრის თვითმფრინავი.
უცბათ თვითმფრინავი
მარჯვნივ გადაქანდა,
რა ჰქნას ვარიკელამ,
შიშით აკაკანდა.
ბები ტირის, ტირის,
ეეედრება გამჩენს,
ვარიკელაც მოსთქვამს,
ნისკარტს ურტყამს საჭეს.
მაგრამ თვითმფრინავი
მაღლა, მაღლა იწევს,
გადალახა ვრცელი
ლურჯი-ლურჯი სივრცე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გადმოხედეს ქვევით,
გაუფითრდათ სახე,
საკვირველი რამე,
საოცრება ნახეს:
გოლიათი მთები
მომცრო ზვინებს ჰგვანან,
ვეებერთელა ხენი
ბუჩქებივით ჩანან.
როგორც ბამბის ძაფი —
მდინარეა წვრილი.
ველი მოჩანს, როგორც
ჭრელი ხელმანდილი.
წყლიან ტაშტებს ჰგვანან
ვეებერთელა ტბები.
სათამაშოს ჰგვანან
ავტომანქანები.
ადამიანს ამჩნევ,
არ უჯერებ თვალსა,
აწაწინა მოჩანს
ქინძისთავის მსგავსად.
ბები აკვირდება
ქათმებს ეძებს თვალით.
მხოლოდ ძროხა მოჩანს
წერტილივით შავი.
მაღლა აიხედეს.
ღრუბლებია, მარტო,
შეჯგუფულან ერთად
საავდროდ და სამტროდ
უცბად ცაზე გაჩნდა
საიდანღაც მთვარე.

ვეებერთელა მთვარე
თვალებს აბრიალებს.
ისე დიდი არის —
მოელვარე მკერდით,
მიწიდან რომ მოჩანს —
ასჯერ უფრო მეტი.
ბებო შიშით უმზერს,
არ უჯერებს თვალებს,
მარცხენა თვალს ხუჭავს,
თვალს ჩაუკრავს მთვარე.
შიშით უმზერს ბები,
საოცრება ნახა:
მთვარეს მრისხანებით
დაუღია ხახა,
კიდევ ერთი წამიც
ბების გადაყლაპავს...
ის წყეული წამი
წელიწადად იქცა...
შეშინებულ ბებოს
დროზე გაეღვიძა...
გაღვიძა, ხედავს —
სიმშვიდეა სრული.
მხოლოდ შიშით ისევ,
გული უცემს, გული!
ვარიკელა ისევ
არ ათავებს კაკანს
და სიცილით ჰყვება
ბებიმ თუ რაც ნახა.

თარგმანი **რეპეზ მარგიანისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი

ნახატები ვ. ლაღიძისა

ბ. ზარდალიშვილი

ბუნების მრისხანე ძალებს: ქარიშხალს, წყალდიდობას, მიწის ძვრებს, ან ვულკანების ამოფრქვევას ძველად მიაწერდნენ ზეციერ ძალებს და ჯადოსნებს, რადგანაც ხალხმა არ იცოდა ბუნების ამ მოვლენების წარმოშობის ნამდვილი მიზეზები.

ამ წერილის მიზანია, ჩვენს ნორჩ მკითხველებს ვუამბოთ ბუნების ზოგიერთი მოვლენების შესახებ.

სამასიოდე წლის წინათ საფრანგეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში „სისხლის წვიმა“ მოვიდა. მოსახლეობა ისე დაშინდა, რომ აიყარა და სხვაგან გადასახლდა. ასეთი „სისხლის წვიმები“ ხანდახან მოდის ხმელთაშუაზღვის სანაპიროებზე. სხვაგვარი წვიმებიც არსებობს, მაგალითად: დანიის, ნორვეგიის და შოტლანდიის მცხოვრებლებს არაერთხელ უნახავთ კიბორჩხალების, ბაყაყების და თევზების „წვიმა“. თევზის „წვიმა“ მოვიდა ჩვენს შორეულ აღმოსავლეთშიც. ერთხელ შოტლანდიაში ზღვის მედუზების „წვიმა“ დაუშვა. იტალიის ერთ ქალაქში ფორთოხლის „წვიმა“ მოვიდა, ხოლო ჩვენში, კალინინის ოლქში, ხორბლის „წვიმა“ 15—20 წუთს გრძელდებოდა.

ძველად ასეთი უცნაური წვიმების მიზეზი უცნობი იყო და ხალხში ცრუმორწმუნეობას განამტკიცებდა. მეცნიერებამ კი დაასაბუთა რომ ამ წვიმების ნამდვილი მიზეზია ქარი.

ძლიერი გრიგალი, რომელიც დიდი სისწრაფით ტრიალებს, ძაბრისებურად აიზიდება ცისაკენ და გზაზე რაც მოხვდება, ჰაერში აიტაცებს.

ზოგჯერ გრიგალი წამოხვეტავს ხოლმე მოწითალო ფერის თიხა-ქვიშების მტვერს — ოხრას (ოხრა წითელი საღებავია), ეს მტვერი წვიმის წვეთებში შეერევა, მის წყალში გაიხსნება და დედამიწაზე დაეშვება სისხლისფერ წვიმად; ამიტომ დაარქვეს მას „სისხლის წვიმა“. ამაში ადვილად დარწმუნდნენ: როდესაც სისხლისფერი წვიმით ჭიქა აავსეს და რამოდენიმე საათი დააცადეს დაწყნობა, ნახეს, რომ წითელი საღებავის ოხრას ნაწილაკები ფსკერზე დაილექა და დაწმენდილი სუფთა წყალი ზევიდან მოადგა.

კიდევ უფრო გასაოცარია „სისხლიანი თოვლი“: ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ დათოვლილი მიდამო უცბად, ერთ ღამეში მუქწითლად შეიღებება. ძველი შეხედულების ხალხი მას სასწაულებრივ მოვლენად თვლიდა. მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ „წითელი თოვლი“ ჩვეულებრივი თვალით უხილავი, პაწაწინა წყალმცენარეების ჩანასახები ყოფილა; ქარის მიერ შორი ადგილებიდან გადმოტანილი წითელი ფერის პაწია წყალმცენარეები უცბად მრავლდება თოვლზე და სისხლის ფერს აძლევს თოვლს, ამის აღმოჩენა მხოლოდ გამადიდებელი შუშით — მიკროსკოპით შესძლო ადამიანმა.

ასევე, ქარის მეოხებით წარმოიშვება სხვაგვარი წვიმებიც. გრიგალი ხშირად ჰაერში აიტაცებს ტბის, მდინარის ან ზღვის წყალს და მასთან ერთად შიგ მყოფ თევზებს, მედუზებს, კიბორჩხალებს, ბაყაყებს ზოგჯერ დაანგრევს და გაიტა-

ცებს მარცვლეულის საწყობს და ასეული კილომეტრების მანძილზე გადასტყორცნის. ამის შედეგად ვღებულობთ სხვადასხვა არაჩვეულებრივ წვიმებს, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას.

ჩვენ ვიცით, რომ ქარი ჰაერის მოძრაობის შედეგად წარმოიშვება; მართალია ქარიშალი ანგრევს შენობებს, ჰგლეჯს ასწლოვან ხეებს, ზღვაზე ღუპავს გემებსა და უდაბნოებში ქარავნებს. მაგრამ ჩვეულებრივ ქარს ბევრი სარგებლობაც მოაქვს: მაგალითად, ქარი ხელს უწყობს ზღვაზე მიმოსვლას, ზღვებიდან მოაქვს ღრუბელი და წვიმის სახით რწყავს ველმინდვრებს, ამოძრავებს ქარის წისქვილებს, მავნე ნივთიერებისაგან წმენდს ჰაერს. კიდევ მეტიც, — სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში ქარს უდაბნოდან მოაქვს ერთგვარი ყვითელი მტვერი (ლიოსი), რომელიც ანოყიერებს სახნავ-სათეს მიწებს.

საბჭოთა კავშირში ქარის ძალა, რომელსაც „ცისფერ ნახშირს“ უწოდებენ, გამოყენებულია ხალხის საკეთილდღეოდ: სპეციალური ქარის ძრავები უდგათ ჩვენს მამაც პოლარელებს ჩრდილოეთში, და ისინი აძლევენ სითბოს, სინათლეს. მოსკოვის ოლქში ქარის ელექტროსადგური მუშაობს, რომელიც ელექტროდენს აწვდის კოლმეურნეთა ბინებს და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს.

ბუნების მრისხანე ძალა ქარი ადამიანმა თავის სამსახურში ასე ჩააყენა.



6620

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲔᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

აქეთ მწიფე ვაშლი მიხმობს,
იქით მსხალი ოქროსფერი.
რა ტკბილია შემოდგომა,
რა კარგია ოქტომბერი!
კომშს ასხია ისე ბლომად,
რომ ტოტები დაბლა უძევს,
კომშიც მიყვარს, ვაშლიც, მაგრამ
არაფერი არ სჯობს ყურძენს.
გუშინ ადრე წამოვდექი,
წასასვლელი ვიყავ რთველში,
ვენახისკენ გავეშურე
კალათით და დანით ხელში.
კაკლის ხის ქვეშ, ზვრების თავში,
გოდორი რომ იდგა დიდი,—
ქარვასავით მწიფე ყურძენს
კალათებით მარჯვედ ვყრიდი.
გოდორი რომ ივსებოდა,
მტევნები რომ ჩანდა ხვავად,
ატმის ტოტებს დანით ვჭრიდი
გოდრის თავის მოსაწნავად.
შუადღისას შევისვენეთ,
მთიდან ჰქროდა სიო გრილი,
გულს გვილხენდა მწვანე მოლზე
დაცემული კაკლის ჩრდილი.
— „თუ შენ მართლა ყოჩაღი ხარ,—
მითხრეს,— „აბა, გვითხარ ლექსი“.
მეც ვთქვი (ხვეწნა რად მინდოდა),—
რაც ვიცოდი უკეთესი.
იქ აკიდო ბევრი ავჭერ,
უამრავი ავჭერ ჩხები,—
შესაჭმელად ვერ გასწირავ,
სილამაზით ვერ გაძღები.
აქეთ მწიფე ვაშლი მიხმობს,
იქით მსხალი ოქროსფერი,
როგორ მიყვარს შემოდგომა,
რა კარგია ოქტომბერი!

გოგონა და მგელი

ნახატები პ. ქანდელაკისა

უნგრული ზღაპარი

იყო ერთი ღარიბი ქალი, ჰყავდა ერთი ქალიშვილი. ეს გოგო მეტისმეტად ჭკვიანი იყო.

ტყეში, სოფლის გადაღმა, ცხოვრობდა მგელი თავისი ცოლით.

ერთხელ ღარიბმა ქალმა ფიჩხის მოსატანად გაგზავნა გოგონა და თან დაარიგა:

— ფრთხილად იყავი, შვილო, მგელმა არ შეგჭამოს.

— ნუ გეშინია, დედიკო, — უპასუხა გოგონამ, — გავფრთხილდები.

გოგონა ტყეში ფიჩხს აგროვებდა. უცებ თავზე მგელი წამოადგა.

— აქ რას აკეთებ, გოგონა? — ჰკითხა მგელმა.

— ფიჩხს ვაგროვებ.

— წამოდი ჩემთან, მე შაქარს გიყიდი! — შეჰპირდა მგელი.

— ფიჩხს რაღა ვუყო? — უთხრა გოგონამ და მიბრუნდა თუ არა, მგელმა სტაცა თათი, ჩაუძახა ტომარაში, მოიგდო ზურგზე და წაიღო სახლში.

იარა, იარა, ბოლოს დაიღალა, ტომარა მიწაზე დადო და თვითონ გვერდით მიწვა.

გოგონასაც ეს უნდოდა: გამოძვრა ტომრიდან, გატენა ეკლებით და გოროხებით, თვითონ კი ხეზე აძვრა.

მგელმა დაისვენა, მოიკიდა ტომარა და გზას გაუდგა. ეკლები და გოროხები კი ზურგში ჩხვლეტენ:

— გოგონი, ნუ მჩხვლეტ ზურგში! — შეუყვირა მგელმა, — თორემ დავაგდებ ტომარას და ფეხებით გაგთელავ.

მგელმა გზა განაგრძო, ეკლებმა კი ზურგი სულ დაუჩხვლიტეს.

სახლში რომ მივიდა, ცოლს უბრძანა:

— დიდი ცეცხლი დაანთე, ნდავლი მოგიტანეო. თვითონ კი ჩვეულებად ჰქონდა: შინ რომ დაბრუნდებოდა, მაშინვე წყლის დასალევად გარბოდა გარეთ.

მგლის ცოლმა ტომარას პირი მოხსნა

და, რას ხედავს?! ეკლებითა და გოროხებით არის გატენილი.

მგელი რომ დაბრუნდა, ცოლმა აჩვენა ტომარა:

— შე ზარმაცო, შენა! აი, თურმე რისთვის გაცდენილხარ!

გაბრაზდა მგელი! წავიდა ტყეში. გოგონაც კიდევ იქ მივიდა ფიჩხისათვის.

მგელმა უთხრა მას:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მოდი ჩემთან. მე შაქარი მოგიტანე. აი, ტომრის ძირშია.

გოგონამ ჩაიხედა ტომარაში, მგელმა დასტაცა თათი, ჩაგდო ტომარაში, მოიგდო ზურგზე და მხიარულად გასწია.

გზაზე შეისვენა, მოიხსნა ტომარა და მიწვა. გოგონა კი გამოძვრა და ქვებით გაავსო ტომარა.

მგელმა გამოიღვიძა. წამოიკიდა ტომარა და კმაყოფილი წავიდა სახლისაკენ. თან ემუქრება გოგონას:

— ნუ მიჯაჯგურებ ზურგზე, თორემ გაგთელავ!

სახლში რომ მივიდა ცოლს უთხრა:

— აბა, ქალო, რა საუზმე მოგიტანე! ღუმელის გახურება ღა გვაკლია!—ტომარა დედა მგლის წინ დადო და ძუნძულით გავიდა სახლიდან.

ცოლმა მოხსნა ტომარას პირი და ქვებით სავსე რომ დაინახა. გაუჯავრდა მგელს:

— ოჰ, შე ბებერო! შენ ლუკმა პურის შოვნის თავიც აღარ გაქვს!

ახლა კი ძალიან გაბრაზდა მგელი, კვლავ გასწია ტყისაკენ და მისულიც არ იყო, გზაზედვე შეხვდა გოგონას:

— სად მიდიხარ, გოგონი?

— ტყეში, ბიძიკო,
— უპასუხა გოგონამ.

— ერთად წავიდეთ, მეც იქ მივდივარ.

— არ წამოგყვები, მომატყუებ!

— რას ამბობ, გოგონი!—თქვა მგელმა,—როგორ თუ მოგატყუებ.

დაუჯერა გოგონამ და წაჰყვა.

იარეს, იარეს და უცებ მგელმა უთხრა:

— ერთი მიიხედე, უკან ვინ მოგვდევს?

გოგონამ მიიხედა, მგელმა სტაცა თათი და ჩაგდო ტომარაში.

— ახლა კი სახლამდე აღარ დავისვენებ.—თქვა მგელმა და ასეც მოიქცა, სახლამდე მუხლი არ მოუკეცია.

სახლში ცოლს უთხრა:

— ქალო, ღუმელი დანთებული გაქვს? სამწვადე მოგიტანე!

დაგდო ტომარა იატაკზე, თვითონ კი გარეთ გავარდა.

დედა მგელმა ცეცხლი დაანთო და გოგონას უთხრა:

— დაჯექი ნიჩაბზე, შეიხედე, გახურდა თუ არა ღუმელი.

— რომ არ ვიცი, როგორ უნდა ნიჩაბზე დაჯდომა? თქვენ მიჩვენეთ და მერე მე დავჯდები.—მიუგო გოგონამ.

მგლის ცოლი დაჯდა ნიჩაბზე, გოგონამ შეუძახა ღუმელში, მიუხურა კარები და თვითონ კი გაიქცა.

თარგმნა ვალენტინა ძიძიგურამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

6-17/117
5.22/24
ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანები

დ. ძეკამიძე

ნახატები ბ. როინიშვილისა

ტყუპები



ტყუპნი იყვნენ პატარები
რამაზი და ლიდა;
ძმას თუ ხელში რამე ჰქონდა,
დაც იტყოდა: „მინდა!“

რამაზსა და ლიდას მისცეს
თითოს სამი მსხალი;
ძმამ შეჭამა მხოლოდ ერთი,
დამ კი — ორი ცალი.

ლიდას გული ამოუჯდა,
წაეკიდა რამაზს;
ვის რამდენი მსხალი დარჩა —
აბა, მიხვდი ამას!

ფანქრები

თუმც ფანქრები ერთად ჰქონდათ
მზიას, დიტოს, გელას,
მაგრამ განა თანატოლად, —
მეტ-ნაკლები ყველას!
მაგრამ მზია თუ ერთ ფანქარს
უთავაზებს დიტოს,
მაშინ ზუსტად თანატოლი
გაუხდება თითოს.
ამოცანის პირობები
ხომ გაიგე,
ჰოდა —
აბა, მიხვდი: ცხრა ფანქარში
ვის რამდენი ჰქონდა?!

გამოცანები

ალ. საჯინოელი

. . .

ჭიხვინა და პაწაწინა—
მარდად დახტის დედის წინა!

. . .

ხან ჭიაა რქებიანი,
ხან პეპელა ფრთებიანი!

. . .

. . .

არის რქიანი, თბილქურქიანი,
მშვიდი, წყნარი და ბარაქიანი!

. . .

შვილი არის მიწის,
ტყეში ბევრი იცის,
თავის ფორმით მოჰგავს
თოჯინების ქოლგას,
სისხამ დილით მივალთ,
კალათებით მოგვაქვს.

ბოგი წერეთელი

ყდის მხატვრობა ეკუთვნის შ. ცხადაძეს

გამოცემის ოცდამეშვიდე წელი

ფასი 2 მან.

რედაქტორი ოსოს ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, ჯ. გოგიბაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. ხიხარულიძე, ნ. უნაფკოშვილი
შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 10, Октябрь, 1954 г. Тбилиси, Ленина 14.
საბეჭდავში. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. ᲗᲔᲚ. 3-37-38 გამომც. შეკვ. № 400 სტამბის შეკვ. № 1221|21|89
УЦ 14657 ტირაჟი 15.000 ᲤᲐᲡᲘ 1000 ტექსტი აწყობილია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკა“ სტამბაში.